ისევე, როგორც შარშან...

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 6 ივლისი.

“დინამო” (კიევი) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:1 (1:0).

კიევი: რუდაკოვი, დოცენკო, სოსნიხინი, მატვიენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი (მედვიდი), პუზაჩი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე (რეხვიაშვილი), მჭედლიშვილი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი: ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

საოცრად წააგავდა კიევისა და თბილისის დინამოელთა წლევანდელი შეხვედრა შარშანდელს: პირველი წრის მატჩი შარშანაც კიევში შედგა, თანაც 5 ივლისს, მეტოქეები მაშინაც ცხრილის ზედა ნახევარში იყვნენ, მაშინაც კიეველები დაწინაურდნენ და თბილისელებმა შემდეგ იხსნეს ქულა. ერთი სიტყვით, სრული ანალოგიაა.

მასპინძლებმა თავიდანვე ძლიერი, სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში. პირველივე წუთებზე ბლოხინმა რამდენიმეჯერ შეძლო მეტოქის დაცვითი რიგების დაძლევა, გოგიამ ძნელი ბურთი აიღო პუზაჩისგან, ჭელიძემ ბოლო მომენტში მიუსწრო კართან სახიფათო პოზიციაში გასულ ვერემეევს.

კიეველებმა კარგად გამოიყენეს სტუმართა თავდასხმის ინერტულობა და შეტევაში აქტიურად ჩართეს ნახევარდაცვა. ნახევარმცველები საფუძვლიანად დაეუფლნენ შუა მინდორს, აქედან იწყებდნენ კომბინაციებს და დაძაბული ჰყავდათ მოწინააღმდეგის დაცვა, რომელიც გამუდმებით ბრძოლაში იყო ჩაბმული. ამ მძიმე სიტუაციაში თბილისელებს დიდი სამსახურს უწევდა მაჩაიძე. იგი ბევრს მუშაობდა თავის ნახევარზე. არ კარგავდა ბურთს და თავისი გუნდის მცველებს დრო და დრო ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა.

მაგრამ, აი, მე-20 წუთზე მაჩაიძე დაშავდა და მინდორი დატოვა. ვინ იცის, როგორ წავიდოდა თბილისელთა საქმე, მათს თავდამსხმელებს სწორედ ამ მომენტში საბრძოლო თვისებები რომ არ გამოეჩინათ. რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელეს გუცაევმა და ყიფიანმა (ერთ-ერთ მომენტში მეკარესთან პირისპირ გადიოდა გუცაევი და მცველებმა უცერემონიოდ მოცელეს იგი), მინდვრის სიღრმეში დაიხია ბურთის მისაღებად ნოდიამ.

მაინც, კიეველებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა. 25-ე წუთზე პეტრიაშვილისა და ერთ-ერთი კიეველი თავდამსხმელის შეტაკებისას მსაჯმა წესების დარღვევა მიიჩნია და პენალტი დანიშნა. იგი ზუსტად გამოიყენა მუნტიანმა _ 1:0.

გაცილებით უფრო ძლიერად და, მე ვიტყოდი, მონდომებითაც ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. შუა მინდორში ბურთისთვის ბრძოლისას სულ უფრო ხშირად იმარჯვებდნენ გავაშელი და მჭედლიშვილი, ყიფიანმა გააფართოვა სამოქმედო ზონა და მარცხენა ფლანგიდან მინდვრის სხვა პუნქტებშიც იწყო გამოჩენა. ამას მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა. 54-ე წუთზე გუცაევი გაექცა რეშკოს მარჯვენა ფლანგზე, სწრაფად გადასცა ცენტრში, ზედ კარის წინ, სადაც ტყვიასავით შეიჭრა ყიფიანი და ძლიერი, ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა კომბინაცია _ 1:1.

კიეველები ბევრს ეცადნენ კვლავ აღედგინათ უპირატესობა. ორჯერ აღმოჩნდა საგოლე პოზიციაში მეტოქის საჯარიმო მოედანზე ბლოხინი, რომელმაც ჯერ ძელს მოახვედრა ბურთი, მერე კი ოდნავ ააცდინა კარს. შემდეგ გოგიამ შეძლო კოლოტოვის ძალიან სახიფათო გარღვევის მოგერიება.

მატჩის დასასრული ასევე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ შარშანდელი “სტატუს-კვო” ძალაში დარჩა.

ო. ბუჩმა. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 8 ივლისი, 1972 წ.